შემსყიდველი ორგანიზაციების საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №446 დადგენილების საფუძველზე, 2024 წლის 1 იანვრიდან - 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში მედიკამენტების კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით შესყიდვის მიზნით ხორციელდება მონაცემების აგრეგირება.

კონსოლიდირებული ტენდერების დაგეგმვის მიზნით, გთხოვთ, **არაუგვიანეს 2023 წლის 6 ოქტომბრისა,** აღნიშნულ მეილზე pharm2024@spa.gov.ge გადმოგზავნოთ **ინსტრუქციის მიხედვით შევსებული ცხრილი (იხ. ბმული)** იმ მედიკამენტების (CPV 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) შესახებ, რომლის შესყიდვასაც გეგმავთ 2024 წლის სახსრებით.

დეტალური ინსტრუქცია:

- 2024 წლის განმავლობაში შესასყიდი მედიკამენტების რაოდენობების განსაზღვრისას, გაითვალისწინეთ თქვენი ორგანიზაციის მიმდინარე ან/და გასული წლ(ებ)ის საქონლის ხარჯვის სტატისტიკა, ასევე პაციენტთა სავარაუდო მომართვიანობის მაჩვენებელი და **აღნიშნული მონაცემების მიხედვით დაგეგმეთ 2024 წლისთვის შესასყიდი მედიკამენტების რაოდენობები.**

- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შესასყიდი საქონლის განზომილების ერთეულად იგულისხმება აბი/ამპულა/დრაჟე/კაფსულა/ფლაკონი/ცალი/ტუბი და ა.შ.
  შესაბამისად, შესასყიდი მედიკამენტების რაოდენობების დაგეგმვისას გაითვალისწინეთ საქონლის შეფუთვა/დაფასოება და **მედიკამენტის რაოდენობა**

<u>განსაზღვროთ რელევანტურად, მაგ.: აბის/ამპულის/კაფსულის და ა.შ. შესყიდვისას, რაოდენობა გთხოვთ, განსაზღვროთ ერთზე მეტი.</u>

- ასევე გაითვალისწინეთ, რომ თანდართულ <u>ცხრილში,</u> ანბანის მიხედვით, მოცემულია იმ მედიკამენტების შესახებ დეტალური მონაცემები (მათ შორის, დამხმარე ინფორმაცია მედიკამენტების სავაჭრო დასახელების/მწარმოებლის და ფარმაკო-თერაპიული ჯგუფის მითითებით), რომლის შესყიდვაც იგეგმება კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში.

  იმ შემთხვევაში თუ თქვენთვის სასურველი კონკრეტული მედიკამენტი (დოზა/ფორმა/მოქმედი ნივთიერება) <u>ცხრილში</u> არ არის, გთხოვთ, მოიძიოთ მისი ალტერნატივა და ჩაანაცვლოთ სხვა ფორმის, მსგავსი მოქმედების ან/და ანალოგიური ფარმაკო-თერაპიული ჯგუფის მქონე პრეპარატით.

<u>მაგალითი #1:</u>

<u>თუ თქვენთვის სასურველი სავაჭრო დასახელებაა: „ტერაფლუ“ და მისი ჯენერიკია: comb. drug (Paracetamol, Pheniramine maleate, Phenylephrine hydrochloride)</u>

<u>მისი ჩანაცვლება შესაძლებელია ცხრილში მოცემული სავაჭრო დასახელებით: „ტერაფლუ ლიმნით“ და მისი ჯენერიკია: comb. drug (Paracetamol, Pheniramine maleate, Phenylephrine hydrochloride, Ascorbic acid).</u>

<u>მაგალითი #2:</u>

<u>თუ თქვენთვის სასურველი მედიკამენტის ფორმაა 200 მლ და ცხრილში 200 მლ-ს ნაცვლად არის მხოლოდ 100 მლ, გთხოვთ აირჩიოთ 100 მლ.</u>

- თუ ზემოაღნიშნული ჩანაცვლების მიუხედავად, <u>ცხრილში</u> არ მოიძებნა თქვენთვის სასურველი ფარმაცევტული პროდუქტი, გთხოვთ, იხელმძღვანელოთ საქართველოს

მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №446 დადგენილებით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

- დამატებით განვმარტავთ, რომ ცხრილში მოცემულია **ორი სამუშაო ფურცელი ე.წ. „შიტი“** ***(შიტი #1 - „188 დადგენილების გარეშე“ და შიტი #2 - „188 დადგენილების მიხედვით“).*** ზოგიერთი მედიკამენტი მეორდება ორივე სამუშაო ფურცელზე ე.წ. „შიტზე“. თუმცა, განსხვავება შიტი #1-სა და შიტი #2-ს შორის არის მხოლოდ მოთხოვნა მედიკამენტის რეგისტრაციის წესის შესახებ, კერძოდ: ***შიტი #1-ზე მოცემული*** **მედიკამენტები არის სტანდარტული,** საქართველოში აღიარებითი ან ეროვნული რეჟიმით დარეგისტირებული. ხოლო, ***შიტი #2-ზე მოცემული*** **მედიკამეტები რეგისტრირებული უნდა იყოს** „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის **№188 დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მიერ მის კონტროლს დაქვემდებარებულ ბაზარზე.** მოგახსენებთ, რომ **თუ თქვენი ორგანიზაცია არ იყენებდა №188 დადგენილების გათვალისწინებით შესყიდულ მედიკამენტებს, ინფორმაციის წარმოდგენისთვის გამოიყენეთ მხოლოდ *შიტი #1 - „188 დადგენილების გარეშე“.***

- მოგახსენებთ, რომ **დაუშვებელია ცხრილში მოცემული მონაცემების ნებისმიერი სახით დაკორექტირება ან/და ინფორმაციის წაშლა!** თქვენთვის სასურველი ინფორმაციის ჩაწერა შესაძლებელია მხოლოდ იმ ველებში, რომლებიც შეფერილია წითლად, ხოლო მონაცემის შეყვანისთანავე, შეიფერება მწვანედ.

  სურვილის შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენისთვის, შეგიძლიათ გამოიყენოთ **„დამატებითი ინფორმაციის“** სვეტი.

- გთხოვთ, მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდოთ კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის მოთხოვნას მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტის თაობაზე და მითითებულ ვადაში სათანადოდ შეავსოთ Excel-ის ფორმატით მოცემული ცხრილი.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

+995 32 2 242 248 შიდა: 39

598 380 780 ნინი გამრეკელი

598 265 254 სალომე ძოძუაშვილი

577 615 515 მარინა გვრიტიშვილი